

გუსტავ მალერის რეცეფცია თომას მანის ნოველაში „სიკვდილი ვენეციაში“

თომას მანმა (1875-1955) მრავალმხრივ საინტერესო ნოველა „სიკვდილი ვენეციაში“ დაწერა 1911/12 წლებში და იგი ს. ფიშერის გამომცემლობამ გამოსცა 1913 წელს. თავად ავტორმა ამ მრავალპლანიან და მრავალასპექტიან ტექსტს „დეგრადაციის ტრაგედია“ უწოდა. მასში ნათლადაა გამოხატული მწერლის პირად-ინტიმური განწყობილებები და მისსავე შემოქმედების ცენტრალური თემის – ცხოვრება-ხელოვნების ანტითეზა – არაჩვეულებრივ მხატვრულ განსხეულებას წარმოადგენს.

თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“ განეკუთვნება ხელოვანის რომანის ჟანრს (Künstlernovelle/ხელოვანის ნოველა)¹ და მოგვითხრობს ფიქტიური პერსონაჟის, 50 წელს გადაცილებული კარგა ხნის დაქვრივებული ცნობილი მწერლის, გუსტავ ფონ აშენბახის, უცნაური სიყვარულის ამბავს პოლონელი არისტოკრატიული ოჯახის ვაჟ ტადიოსადმი, რაც ვენეციაში დასასვენებლად წასული ხელოვანის სულიერი და ფიზიკური განადგურების მიზეზია.

ვინ არის გუსტავ აშენბახის პროტოტიპი, კომპოზიტორი გუსტავ მალერი (1860-1911) თუ თავად თომას მანი? როგორ ხდება გუსტავ მალერის რეცეფცია თომას მანის ნოველაში „სიკვდილი ვენეციაში“? სწორედ ამ საკითხთა კვლევა წარმოადგენს ჩვენს მთავარ მიზანს.

„სიკვდილი ვენეციაში“ თომას მანის პირველი ნაწარმოებია, რომელშიც ის მითოლოგიურ ელემენტებს იყენებს და ამ გზით გვიჩვენებს გუსტავ ფონ აშენბახის სულიერ მდგომარეობას. ნოველა, კლასიცისტური ტრაგედიის მსგავსად, ხუთი მოქმედების ანალოგიურად, ხუთ თავადაა დაყოფილი. ჰორაციუსისეულია ნაწარმოების

¹ Künstlerroman (ხელოვანის რომანი) განეკუთვნება აღზრდის რომანის ქვეჟანრს და ძირითადად მოგვითხრობს ხელოვანთა ცხოვრებისა და მათი პრობლემების შესახებ. ამ ჟანრის ნაწარმოებთა მთავარი მოქმედი პირები არიან მხატვარები, მუსიკოსები, მწერლები, მსახიობები. ხელოვანის რომანი სათავეს იღებს ადრეულ გერმანულ რომანტიზმში და განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის მე-19 საუკუნეში. აღსანიშნავია: ლუდვიგ ტიკის *ფრანც შტერნბალდის მოგზაურობა* (1798), გოეთეს, *ვილჰელმ მაისტერის თეატრალური მოწოდება* (1776), ე. თ. ა. ჰომანის „კავალერი გლუკი“ (1809) და სხვ. როცა მხატვრული ტექსტი ნოველის ფორმითაა შექმნილი, ამ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი Künstlernovelle. ცნებები Künstlerroman და Künstlernovelle უკვე კარგადაა დამკვიდრებული ლიტერატურათმცოდნეობაში. ამავდროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტერმინები ბევრ უცხო ენაზე თარგმნილი არაა და ჩვენც ზოგჯერ ამგვარად მოვიხსენიებთ მას.

სტრუქტურა: ექსპოზიცია, აღმავალი მოქმედება ამაღლებელი მომენტის თანხლებით, მოქმედების პიკი და პერიპეტია, დაღმავალი მოქმედება რეტარდაციით, კატასტროფა.

მრავალ ავტობიოგრაფიულ ფაქტთან ერთად ნაწარმოებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა გუსტავ მალერისა და თომას მანის შეხვედრის ისტორია და, ასევე, კომპოზიტორის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი, რომელიც ვენეციაში დასასვენებლად მყოფმა თომას მანმა გაზეთებიდან შეიტყო. სწორედ მისი ფოტო გახდა ერთ-ერთი ინსპირაცია გუსტავ ფონ აშენბახის მხატვრული სახის შექმნისთვის, სახელიც არ შეუცვალა მწერალმა პროტაგონისტს. მოგვიანებით, 1971 წელს, ავტობიოგრაფიული ეპიზოდებით ნასაზრდოები ამ არაჩვეულებრივი ნოველის ეკრანიზაცია იგივე სახელწოდებით („სიკვდილი ვენეციაში“ /იტალ. „Morte a Venezia“) ეკუთვნის გენიალურ რეჟისორს ლუკინო ვისკონტის. ის არ ქმნის სპეციალურ მუსიკას ფილმისთვის, არამედ მოქმედებას განავითარებს გუსტავ მალერის მეხუთე და მესამე სიმფონიაზე² დაყრდნობით, რითაც წინა პლანზე წამოსწევს კომპოზიტორის მნიშვნელობას თომას მანის ნოველაში. უფრო მეტიც, მაყურებელს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მრავალ თემას შორის, რომელთაც თომას მანი თავის ნაწარმოებში განასხეულებს, გუსტავ მალერი უმთავრესია. ნოველის მთავარი მოქმედი გმირი მწერალია, ხოლო ფილმის – კომპოზიტორი. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ გუსტავ მალერის რეცეფცია ისევე მნიშვნელოვანია ნაწარმოებში, როგორც ანტიკურობის, ნიცმესა და ფროიდის რეცეფციები. ყველა ეს თემა ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ქმნის მხატვრულ მთლიანობას, რომელშიც უმთავრესი გუსტავ აშენბახია – თომას მანის ავტოპორტრეტი გუსტავ მალერის ნიღბით.

ცნობილია, რომ თომას მანი 1911 წელის 26 მაისიდან 2 ივნისამდე იმყოფებოდა მეუღლესთან, კატია მანთან, და ძმასთან ერთად ვენეციაში. სწორედ მაშინ მოიხიბლა იგი პოლონელი ყმაწვილით. შესაძლოა, მისი პროტოტიპი პოლონელი ბარონი ვლადისლავ მოესია (1900–1986). ამ უკანასკნელმა ეს ვარაუდი თავად დაადასტურა 1965 წელს ჟურნალში *Twen*. უკვე ასაკოვანი ბარონი ხაზს უსვამდა საკუთარ წარმომავლობასა და ბავშვობის მეტსახელს ადო. თუმცა, მეცნიერთა ერთი ნაწილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას (Hage, 2002, 152 ff.).

ამავე წელს, სწორედ მაშინ, როცა თომას მანი ვენეციაში იმყოფებოდა, გავრცელდა ქოლერას ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, მეექვსე ეპიდემია, რომელიც 1910-1911 წლებში წარმოიშვა ინდოეთში და 800 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მსოფლიოში. აღნიშნული ეპიდემიის შესახებ მასალები არცთუ ბევრია. ამდენად, თომას მანის

2 ფილმში ასევე გამოყენებულია მოდესტ მუსორგსკის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენისა და ფერენც (ფრანც) ლეჰარის მუსიკალური ნაწარმოებები.

„სიკვდილი ვენეციაში“, კიოჯაში (ქალაქი იტალიის ვენეციის ოლქში), სან დომენიკოს ეკლესიაში, დაცულ მასალებთან ერთად, ანგარიშგასაწევ წყაროს წარმოადგენს ისტორიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეებისთვის.

თომას მანის თავდაპირველად განზრახული ჰქონდა დაეწერა ნოველა გოეთეს ცხოვრების იმ მონაკვეთთან დაკავშირებით, როცა 70 წელს გადაცილებულ მწერალს თავდავიწყებით შეუყვარდა 18 წლის ულრიკე ფონ ლევეცოვი და მისი ცოლად შერთვა მოინდომა, რაც წარუმატებლად დასრულდა. სათაურიც კი ჰქონია თომას მანს ნოველისთვის მოფიქრებული „გოეთე მარიენბადში“.

გუსტავ აშენბახი ნოველის მეორე თავში ლაპარაკობს ნაწარმოებებზე, რომლებიც იდენტურია თომას მანის იმ ტექსტებისა, რომელთა დაწერასაც ის მომავალში აპირებს. მართალია, მათი სათაურები ცოტათი შეცვლილია, მაგრამ მწერლის გეგმები ნათელია.

ყველა ეს საკითხი თავისთავად ძალიან საინტერესო და საყურადღებოა. ისინი მკითხველსა და მკვლევარებს მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს. მაგრამ, ამჯერად, ჩემი კვლევის საგანს მხოლოდ გუსტავ მალერის რეცეფციის საკითხი წარმოადგენს თომას მანის ამ გახმაურებულ ნოველაში.

საყოველთაოდ ცნობილია მუსიკისადმი თომას მანის განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც კარგად ჩანს მის ნაწარმოებებში. იგი ავტობიოგრაფიულ მოხსენებაში *On myself* ხაზგასმით მიუთითებს მხატვრულ სახეზე ადამიანური სისუსტეებით, რომელსაც ბევრი აქვს საერთო გუსტავ მალერთან. კომპოზიტორს მწერალი 1910 წლის სექტემბერში შეხვდა მიუნხენში მერვე სიმფონიის პრემიერის შემდეგ სასტუმროში „წელიწადის ოთხი დრო“. ცხადია, ასეთ ამაღლებულ საზეიმო ვითარებაში ბევრს ვერ ისაუბრებდნენ *ბუდენბროკების* ავტორი და წარმატებული პრემიერით გახარებული კომპოზიტორი და დირიჟორი. ორი დღის შემდეგ კი თომას მანმა წერილი და მისი რომანი „სამეფო უდიდებულესობა“ (1909) გაუგზავნა გუსტავ მალერს, რომლის ხელოვნებითაც უზომოდ იყო მოხიბლული. კომპოზიტორი 1910 წლის ოქტომბერში ამერიკაში გაემგზავრა და სწორედ იქედან გაუგზავნა მწერალს სამადლობელი ბარათი. ეს ერთადერთი წერილია, რომელიც გუსტავ მალერმა თომას მანს მისწერა. მასში კარგად ჩანს მისი პატივისცემა ადრესატისადმი და სურვილი იმისა, რომ, იქნებ, კიდევ გადაკვეთილიყო მათი გზები.

თომას მანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ გუსტავ მალერი ეპოქის უდიდეს ხელოვანს წარმოადგენდა. მან მიზანმიმართულად მოარგო გუსტავ აშენბახს „მალერის ნილაბი“. ცხადია ამ მოსაზრებას აქვს თავისი მყარი საფუძველი და არსებობის უფლებაც, რაზეც უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ ამავე ნაშრომში.

ჩემი აზრით, გუსტავ ფონ აშენბახი ავტორის პროტოტიპია, რაც კარგად ჩანს ტექსტიდან. დავიწყოთ იმით, რომ ორივე მათგანი მწერალია და თომას მანი მოგვითხრობს საკუთარ ცხოვრებისეულ ამბებს, ვნებებისა და გატაცებების შესახებ. 1911 წელს დაწერილი ესეც – „შამისო“ – გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ გუსტავ

აშენბახის მხატვრულ სახეში ცნაურდება ავტორისა და პროტაგონისტის იდენტურობა: „ძველი, კარგი ამბავია: ვერთერმა თავი მოიკლა, მაგრამ გოეთე გადარჩა“ (Mann, 1955, გვ. 45) – წერს თომას მანი. ამ ესედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ მწერალს პირად-ინტიმურ პრობლემებზე წერა საკუთარი თავის, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის გზად მიაჩნია. ჩემი მოსაზრების დასტურად ისევ თომას მანის მოგვიანებით, 1930 წელს, შექმნილი ნაშრომი „Lebensabriß“ („მოკლე ნარკვევი ჩემი ცხოვრების შესახებ“) შეიძლება გამოვიყენოთ, რომელშიც იგი თავის ვენეციურ ნოველას უწოდებს „უცნაურ თვითდამსჯელ წიგნს“. მიუხედავად ამ ყველაფრისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ გუსტავ მალერი და მუსიკა არსებითი მნიშვნელობის მქონეა ტექსტში, რომლის პირველივე ნაწილში იკვეთება გუსტავ ფონ აშენბახის შეტევასავით თავსდამტყდარი მოგზაურობის სურვილი, რომელიც თავგზაამბნევ ვნებად ქცეოდა (მანი, 2015, გვ. 94).

ისევე როგორც დრამატული ნაწარმოების პირველ აქტში, თომას მანის ნოველის პირველ ნაწილშიც ვეცნობით „მიმდინარე საქმის“ ვითარებას; მოქმედების წინა ისტორიასა და ინტრიგას, მოქმედების ადგილსა და დროს. იქმნება ატმოსფერო, რომელიც განგვაწყობს თვალი მივადევნოთ მოქმედების განვითარებას და მასთან ერთად მოქმედ პირთა ქცევას. თომას მანი გვიხატავს ხელოვანის შთამბეჭდავ პორტრეტს, შემოქმედს, რომელიც ძალების ამოწურვამდე მუშაობს, დაძაბულია და გამოფიტული, მაგრამ არა დაცემული (მანი, 2015, გვ. 97) და მოქმედების განვითარება მოსახდენი ამბის კვანძის განვითარებისკენ მიჰყავს.

ნოველის მეორე ნაწილში წარმოგვიდგინა თომას მანმა გუსტავ აშენბახის სრულყოფილი პორტრეტი, რომელშიც მკითხველი უმაღვე ამოიცნობს გუსტავ მალერს. ცხადია, სრულიად შეგნებულად და მიზანმიმართულად შექმნა მან ასეთი გასაოცარი მხატვრული სახე:

გუსტავ აშენბახი, საშუალოზე ოდნავ დაბალი, შავგვრემანი მამაკაცი იყო. პირი მუდამ გაპარსული ჰქონდა. კაფანდარა სხეულთან შედარებით, თავი ოდნავ დიდი უჩანდა. კეფაზე შეთხელებული, საფეთქლებთან შევერცხლილი თმა უკან გადაევარცხნა და ღრმა ნაოჭებით დაფარულ შუბლს გარს ეკვროდა. უჩარჩოო სათვალეს ოქროს უღელი მყარად აჯდა მის მსხვილ, ოდნავ კეხიან, არისტოკრატიულ ცხვირს. დიდი პირი ჰქონდა, ხან მოდუნებული და ხანაც დაჭიმული, თხელ, გამხდარ დანაოჭებულ ლოყებს მსუბუქად მოყვანილი ნიკაპი უბოლოებდა. მრავალი განცდით აღბეჭდილ, გვერდზე გადახდილ თავს არაერთი ავბედობა დასტყდომოდა და მაინც ხელოვნება იყო ის, რასაც მისი გარეგნობა ჩამოეყალიბებინა და არა მძიმე, ცვალებადი ცხოვრება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე (მანი, 2015, გვ. 104).

არა მხოლოდ გარეგნობა, გუსტავ მალერის წარმომავლობა, ცხოვრება და შემოქმედება მძლავრი იმპულსების მიმცემია თომას მანისთვის ნოველის „სიკვდილი ვენეციაში“

შესაქმნელად. ებრაული წარმოშობის ავსტრიელი კომპოზიტორი და დირიჟორი საყურადღებო პიროვნებაა ავტორისთვის იმ აზრითაც, რომ საცნაურია მის „გარეგნობაში უცხო რასის ნიშნები“ („Merkmale fremder Rasse in seinem Äußeren“. Thomas Mann, 2007, გვ. 13). ცხადია, ამგვარად გვიჩვენებს მწერალი სილუზიელი სასამართლოს გავლენიანი მოხელისა და ბოჰემიელი კაპელმასტერის ქალიშვილის შთამომავალს, გუსტავ აშენბახს, მაგრამ გულისხმობს გუსტავ მალერს. „რასას“ ნამდვილად არ გაუსვამდა ხაზს თომას მანი მას შემდეგ, რაც ნაციონალ-სოციალისტები თავიანთი რასისტული იდეოლოგიით ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ. ნოველის ავტორი ახალგაზრდა მწერალია, მოხიბლული „უცხოს“ მშვენიერებით, ნიჭიერებითა და ხელოვნებით. თავად თომას მანის ძარღვებშიც ჩქეფდა „უცხო რასის“ სისხლი: მამამისი მდიდარი ლიუბეკელი ვაჭარი, გემთმფლობელი და სენატორი იყო, ხოლო დედა გერმანელი პლანტატორისა და პორტუგალიური წარმოშობის ბრაზილიელი კრეოლის შთამომავალი. ამდენად, ისევე როგორც გოეთეს ლოტეს მხატვრულ სახეში *ახალგაზრდა ვერთერის ვნებანიდან*, გუსტავ ფონ აშენბახის პერსონაჟშიც რეალურად არსებულ პიროვნებათა რამდენიმე სახეა გაერთიანებული.

გუსტავ მალერის რეცეფციის საკითხის კვლევისას თომას მანის ნოველაში „სიკვდილი ვენეციაში“ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ეპიზოდი კომპოზიტორის ცხოვრებიდან: ვენაში განათლების მიღების შემდეგ, 1889 წელს, ის ბუდაპეშტში წარმოადგენს თავის პირველ სიმფონიებს. წარუმატებელი კონცერტების შემდეგ, 1891 წელს, კომპოზიტორი მიემგზავრება ჰამბურგში. გუსტავ აშენბახი კი სამწერლო საქმიანობაში პირველი წარუმატებლობის შემდეგ მწერალი იტალიაში მიდის. აქ, ჩემი აზრით, ისევე გოეთეს რემინისცენციას ვხვდებით. ახალგაზრდა გოეთემაც ხომ იტალიას მიაშურა, საიდანაც განსაკუთრებით მძლავრი შემოქმედებითი იმპულსებით დაბრუნდა და შემდეგ არაერთი შედეგრი შექმნა..

1895 წელს წარმატებით შესრულდა ჰამბურგში გუსტავ მალერის მესამე სიმფონია, ხოლო 1904 წელს მეხუთე სიმფონია – კელნში. 1906 წელს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს კომპოზიტორს, გარდაიცვალა მისი ქალიშვილი. გუსტავ აშენბახს კი მეუღლე გარდაეცვალა ნაადრევად, რომლისგანაც გათხოვილი ქალიშვილი დარჩა.

თომას მანისთვის ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია ასევე გუსტავ მალერის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელსაც 1907 წელს გულის სარქველის დაზიანების დიაგნოზი დაუსვეს ექიმებმა. აშენბახსაც გული აწუხებს, კერძოდ კი, გულის კუნთების სისუსტე, ამდენად შვებულება და დასვენება მისთვის საჭირო და აუცილებელია. თუმცა მწერალმა ვენეციაში ნამდვილად ვერ იპოვა სულიერი სიმშვიდე. ამას დაემატა სამწუხარო ამბავი, გუსტავ მალერის გარდაცვალება სისხლის მოწამვლით 1911 წლის 18 მაისს.

გუსტავ აშენბახი კი ვენეციაში ქოლერამ იმსხვერპლა. განგის დელტის თბილ ჭაობებში ჩასახული სასიკვდილო სენი, აზიური ქოლერის სასტიკი ვირუსი, რომელიც

ინდოეთიდან ჩინეთში, ავღანეთსა და ირანში გავრცელდა და ქარავანთა მთავარი გზებით, მთელი თავისი საშინელებით ასტრახანამდე და მოსკოვამდე მოაღწია, მასაც ესტუმრა. იგი შესანიშნავად აცნობიერებს საკუთარი სწეულების არსს, რომელიც ისევე მძვინვარებს მის სხეულსა და სულში, როგორც ქოლერა რომანტიკულ ვენეციაში. ჭკნობისა და დრომოჭმულობის ელფერი დაჰკრავდა ერთ დროს სიცოცხლით სავსე ქალაქს, როცა გაიგო, რომ სასტუმროდან პოლონელი არისტოკრატები მიემგზავრებოდნენ. შთამბეჭდავია რომანში ბოლო სცენა, როცა ქოლერით დაავადებული გუსტავ ფონ აშენბახი ტაძოს უცქერს. პირადი ტრაგედიითა და სასიკვდილო სენით სრულიად დაუძღვრებულ გუსტავ აშენბახს ეჩვენება როგორ უღიმის შორიდან ფერმკრთალი და მომხიბლავი ფსიქაგოგი – ტაძოს ალუზია. წუთებმა გაირბინა და შეძრწუნებულმა მსოფლიომ შეიტყო ცნობილი მწერლის მოულოდნელი სიკვდილის ამბავი (მანი, 2015, გვ. 184).

ამდენად, მწერლის ვნებები, ქოლერა, ანტიკური ხელოვნების ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები და „გუსტავ მაღერის ნიღაბი“ არაორდინარულად განასხეულა თომას მანმა ნაწარმოებში, რომელშიც ხელოვნებასა და სიყვარულს მრავალი ასპექტი გააჩნია. ერთი მხრივ, იგი უჩვენებს ავტორის, როგორც დიდი ხელოვანის განსაკუთრებულ შესაძლებლობებსა და პირად-ინტიმურ განწყობილებებს ქოლერას ეპიდემიით გამოწვეული უდიდესი ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების კონტექსტში. მეორე მხრივ, თომას მანის კლასიციტური ტრაგედიის ფორმით აგებული *Künstlernovelle* (ხელოვანის ნოველა) მითოლოგიური და დეკადანსის მოტივებით აღიქმება როგორც ხელოვნების ნიმუში, რომელშიც არსებითია „თავაშვებულობისთვის გაჩენილი“ ხელოვანის ტრაგედია. ეს ხელოვანი კი თავად თომას მანია გუსტავ მაღერის ნიღბით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კაკაბაძე, ნ. (1973). *თომას მანი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- კაკაურიძე, ნ. (2001). *თომას მანი და მუსიკალური რომანტიზმი*, ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მანი, თ. (2015). „სიკვდილი ვენეციაში“. წიგნში: თომას მანი, *მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
- ფირცხალავა, ნ. (2013). „გოეთეს ‚ნოველა‘ და თომას მანის, სიკვდილი ვენეციაში“ (შოპენჰაუერის მოძღვრების შუქზე)“. კრებულში: *თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯინორია, ო. (1966). „თომას მანი“. წინასიტყვაობა წიგნისა თომას მანი, *მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.

- Hage, V. (2002). „*Tadzios schönes Geheimnis*“. In: *Der Spiegel*. Nr. 52, 2002, S. 152 ff. (online – 20.12.2002). [Tadzios schönes Geheimnis - DER SPIEGEL](#)
- Harpprecht, K. (1995). *Thomas Mann. Eine Biographie*, Reinbek: Rowohlt.
- Mann, Th. (2007). „Chamisso“, In: *Gesammelte Werke*, zehnter Band Berlin: Aufbau-Verlag.
- Mann, Th. (1930). „Lebensabriß“. In: *Die Neue Rundschau*, 6. Heft Juni 1930, 41. Jg., S. 732 – 769.
- Mann, Th. (2007). *Der Tod in Venedig*. (Sonderausgabe). Frankfurt am Main: S. Fischer.